საქართველოს პროკურატურის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

15.05.2020

სარჩევი

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები 2-18

- სისხლისსამართლებრივი დევნა
- სრულწლოვანთა განრიდება
- აღკვეთის ღონისძიებები
- სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება 19-29

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო 29-36

- გამოძიების დაწყება
- სისხლისსამართლებრივი დევნა
- განაჩენები
- იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა 36-50

- ოჯახური დანაშაული
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები
- არასათანადო მოპყრობა
- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა
- ტერორიზმი
- ორგანიზებული დანაშაული

ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა 51-53

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება 53-58

- EUROJUST
- OECD ACN

საერთაშორისო თანამშრომლობა 59-

პროკურატურის ადამიანური რესურსები 60-61

საზოგადოებასთან ურთიერთობა 62-67

- მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური
- დანაშაულის პრევენცია
- საჯარო ინფორმაციის გაცემა

,,პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 68-ე-მუხლით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 172-ე მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი საქართველოს პროკურატურის საქმიანობის საპარლამენტო კონტროლის წესის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პროკურატურის მიერ 2019წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს, რომელიც ეხება სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების შედეგებს, ქვეყანაში ზოგადი კრიმინოგენური ვითარების შეფასებას, მათ შორის, გავრცელებული დანაშაულების სტატისტიკურ მაჩვენებლებს, მათი კატეგორიებისა და ტენდენციების მითითებით, სამართალწარმოების პროცესში ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, პროკურატურის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს, პროკურორთა პროფესიული გადამზადებისა და განვითარების პროგრამებს. ანგარიში არ შეიცავს კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებასთან, სასამართლო განხილვასთან ან/და საქმის ცალკეულ გარემოებებთან დაკავშირებულ საკითხებს.

გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის შედეგები

სისხლისსამართლებრივი დევნა

2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა 19114 პირის მიმართ დაიწყო, 2018 წელს კი -16820 პირის მიმართ. ამდენად სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2019 წელს 2018 წელთან შედარებით გაიზარდა 13.6%-ით (ძირითადად საქართველოს სსკ-ის 381[1], 273[1], 151-ე, 265-ე, 260-ე, 344-ე და 362-ე მუხლებით).

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი 2012-2019 წლებში ამგვარია:



2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი, ისევე როგორც 2018 წელს დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 126[1] და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე:



2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე, 126[1] და 260-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე:

სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი სსკ-ის მუხლების მიხედვით (2018 წელი)



სრულწლოვანთა განრიდება

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ალტერნატიული მექანიზმის - განრიდების გამოყენება პროკურორების მიერ აქტიურად ხდება 2012 წლიდან.

2015-2019 წლებში განრიდება ძირითადად გამოყენებული იქნა ნაკლებად მძიმე კატეგორიის, გაუფრთხილებელ, არაძალადობრივ დანაშაულთა ჩამდენი სრულწლოვნების (21 წლის ზევით ასაკის) მიმართ. განრიდების გამოყენებისას მხედველობაში მიიღება როგორც დანაშაულის ხასიათი, დამდგარი შედეგი, დაზარალებულის პოზიცია, დანაშაულის ჩამდენის პიროვნული მახასიათებლები, ასევე სხვა გარემოებები, რომლებიც კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეს ახასიათებს. უნდა აღინიშნოს, რომ განრიდება, როგორც წესი, არ გამოიყენება ისეთ დანაშაულებზე, რომელთა ჩადენამ გამოიწვია მძიმე და გამოუსწორებელი შედეგი.

არსებული სისხლის სამართლის პოლიტიკის გათვალისწინებით, ოჯახური დანაშაულისა და ოჯახში ძალადობის საქმეებზე განრიდების მექანიზმი როგორც წესი არ გამოიყენება. 2018 წლის განმავლობაში მხოლოდ ერთი პირი განრიდდა სისხლის სამართლის კოდექსის 11^1-120-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის, რაც შეეხება 126^1 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებს, აღნიშნულ მუხლთან მიმართებით 2018-2019 წლებში განრიდების მექანიზმი არ გამოყენებულა.

სრულწლოვან (21 წლის ზევით) განრიდებულთა რაოდენობრივი მაჩვენებელი წლების მიხედვით



აღკვეთის ღონისძიებები

2019 წელს მცირედით არის გაზრდილი მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი. 2012 წელს პროკურორის მიერ მოთხოვნილი აღკვეთის ღონისძიებებიდან პატიმრობის პროცენტულმა მაჩვენებელმა შეადგინა 35,1%, 2013 წელს - 25,3%, 2014 წელს - 34,2 %, 2015 წელს - 33,1%, 2016 წელს - 30%, 2017 წელს - 26 %, 2018 წელს - 29.8 %, ხოლო 2019 წელს - 37,2%:



უნდა აღინიშნოს რომ მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა ხორციელდება ძალადობრივი დანაშაულისათვის ბრალდებული პირების მიმართ. კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 108-ე (მკვლელობა), 109-ე (მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში), 117-ე (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) და 179-ე (ყაჩაღობა) მუხლებით ბრალდებულ პირთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით ხდება პატიმრობის მოთხოვნა. 2014-2019 წლებში საქართველოს სსკ-ის 108-ე, 109-ე, 19-108-ე, 19-109-ე მუხლებით სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობებიდან ყველა პირის მიმართ პროკურორების მიერ მოთხოვნილი იქნა პატიმრობის შეფარდება. საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლით ბრალდებული პირებიდან 2014 წელს - 99,4%-ის, 2015-2017 წლებში 100%-ის, 2018 წელს - 99 %-ის და 2019 წელს - 100%-ის მიმართ მოთხოვნილი იქნა პატიმრობა. რაც შეეხება 117-ე მუხლს, 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 79%-ის, 2015 წელს - 81%-ის, 2016 წელს - 87%-ის, 2017 წელს - 93%-ის, 2018 წელს - 91%-ის, ხოლო 2019 წელს 97%-ის მიმართ. ზემოაღნიშნულ მუხლებზე პატიმრობის მოთხოვნა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სასამართლოს მიერ კმაყოფილდება:



ბოლო წლებში შემცირებულია დევნადაწყებული პირების მიმართ საპატიმრო გირაოს მოთხოვნის პროცენტული მაჩვენებელი:



რაც შეეხება სასამართლოს მიერ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელს, 2012 წელს სულ გამოყენებულ აღკვეთის ღონისძიებებში პატიმრობის მაჩვენებელმა შეადგინა 34 %-ს, 2013 წელს - 18,2%-ს, 2014 წელს - 22,6%-ს, 2015 წელს - 20,6%-ს, 2016 წელს - 19,2 %-ს, 2017 წელს - 19,4 %-ს, 2018 წელს - 22,8 %-ს, ხოლო 2019 წელს - 27,2 %.



აღკვეთის ღონისძიების გამოყენების თაობაზე პროკურორების მიერ დაყენებული შუამდგომლობების დაკმაყოფილების პროცენტულმა მაჩვენებელმა 2011 წელს შეადგინა 99.9 %, 2012 წელს 98,3%, 2013 წელს - 85,6%, 2014 წელს - 77,1 %, 2015 წელს - 72,7%, 2016 წელს - 73,5%, 2017 წელს - 83,2 %, 2018 წელს - 84,9%, ხოლო 2019 წელს - 80%[1]:

[1] სრულად დაკმაყოფილებულ შუამდგომლობებში ჩათვლილია ის შუამდგომლობებიც, როცა მოხდა ცვლილება მხოლოდ გირაოს თანხის ნაწილში.



რაც შეეხება პატიმრობის დაკმაყოფილების პროცენტულ მაჩვენებლებს, ამგვარია:

პროკურორის მიერ მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი



მითითებული მონაცემები ცხადყოფს, რომ 2013-2018 წლებში მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების პროცენტული მაჩვენებელი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. რაც შეეხება 2019 წელს, 2018 წელთან შედარებით 4,5 %-ით არის შემცირებული.

სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა

პირველი ინსტანციის საერთო სასამართლოებმა 2011 წელს განაჩენი გამოიტანა 18212 პირის მიმართ, 2012 წელს 11 043 პირის მიმართ, 2013 წელს - 15 240, 2014 წელს - 16 906, 2015 წელს - 15 366, 2016 წელს - 16 064, 2017 წელს - 14 035, 2018 წელს - 16 343, ხოლო 2019 წელს 17 391 პირის მიმართ:

პირთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი

2019 წელს გასამართლებული 17 391 პირიდან 67,2%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 32,8%-ის მიმართ საქმე არსებითად იქნა განხილული. 2019 წელს წინა წელთან შედარებით საპროცესო შეთანხმების პროცენტული მაჩვენებელი გაიზარდა 1,4%-ით.

არსებითი განხილვითა და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გამოტანილი განაჩენები



2018 წლის მსგავსად, 2019 წელს გაზრდილია გამოძიების ადრეულ ეტაპზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელიც. კერძოდ, გაიზარდა პირველი წარდგენის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი არსებითი განხილვის სხდომაზე საპროცესო შეთანხმების

დამტკიცების შემცირების პარალელურად. საპროცესო შეთანხმების ადრეულ ეტაპზევე გაფორმება და ამის საფუძველზე დასრულებული სისხლის სამართლის საქმეების პროცენტული მაჩვენებლის ზრდა ხელს უწყობს სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, ასევე ზოგავს როგორც პროკურატურის, ასევე სასამართლო სისტემის ძალიან დიდ ადამიანურ და ფინანსურ რესურსს. ამასთან, საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას დაზარალებული აღარ არის ვალდებული გამოცხადდეს სასამართლო პროცესზე და ჩვენების მიცემისას კიდევ ერთხელ განიცადოს დანაშაულის შედეგად გამოწვეული სტრესი.



2019 წელს არსებითი განხილვის საფუძველზე გამოტანილი განაჩენებიდან 11,1%-ის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 4,7%-ის მიმართ - ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი:



2019 წელს გამამართლებელი განაჩენების დიდი ნაწილი (66%) ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე მოდის. აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი ძირითადად ხდება საქმის არსებითი განხილვის სხდომებზე ბრალდებულის ახლო ნათესავების მიერ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლით მინიჭებული ჩვენების მიცემისაგან თავის შეკავების უფლებით სარგებლობა.

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი 2019 წელს წინა წლებთან შედარებით მცირედით არის გაზრდილი:

საპროცესო შეთანხმების დადებისას ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელი



რაც შეეხება საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელის სახით გამოყენებული ჯარიმის ოდენობას, წლების მიხედვით ამგვარია:

საპროცესო შეთანხმების საფუძველზე ბიუჯეტში ჩარიცხული ჯარიმის ოდენობა



საპროცესო შეთანხმების გაფორმებისას სასჯელის სახით საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი 2019 წელს 2016-2017 წლებთან შედარებით შემცირებულია, ხოლო 2018 წელთან შედარებით უმნიშვნელოდ არის გაზრდილი:

საპროცესო შეთანხმების დადებისას საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების მაჩვენებელი



საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთა 2014 წელს გამოყენებული იქნა ბრალდებულთა 33.7%-ის მიმართ, 2015 წელს - 25%-ის, 2016 წელს - 18.3%-ის, 2017 წელს - 16.4%-ის, 2018 წელს - 18,4%-ის, ხოლო 2019 წელს - 16,3%-ის მიმართ:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



უნდა აღინიშნოს რომ, თავისუფლების აღკვეთის შემცირების პარალელურად მკაცრია სისხლის სამართლის პოლიტიკა ძალადობრივი დანაშაულების მიმართ:

თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

საქართველოს პროკურატურისთვის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება რჩება ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედების შემდეგ პროკურატურა მუდმივად ზრუნავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დახვეწაზე. ხდება არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი და პრაქტიკაში არსებული გამოწვევების გადაჭრის, ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბების მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსმა სრულიად განსხვავებული სტანდარტი დაადგინა არაერთი მიმართულებით. სავალდებულო გახდა არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეებზე მომუშავე პირთა სპეციალიზაცია. ხოლო იმ არასრულწლოვანთა და 18-დან 21 წლამდე ასაკის პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაული, პროკურორს დაეკისრა ვალდებულება პირველ რიგში მათი განრიდების შესაძლებლობა განიხილოს და მხოლოდ შემდეგ მიიღოს სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება.

2010 წლიდან დღემდე მზარდია განრიდების მაჩვენებელი. განრიდების რაოდენობის ზრდასთან ერთად კი გაუმჯობესებულია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროცედურების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხარისხი და მაქსიმალურად უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მიმართ შემჭიდროებულ ვადებში გადაწყვეტილების მიღება.

2010 წლიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით განრიდებულია 14-დან 21 წლამდე ასაკის 4428 პირი, საიდანაც 2910 არასრულწლოვანია, ხოლო 1518 18-დან 21 წლამდე ასაკის პირი.

2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი გამოყენებულ იქნა 437 არასრულწლოვნის და 18-დან 21 წლამდე ასაკის 360 პირის მიმართ.

21 წლამდე პირების განრიდების სტატისტიკა წლების მიხედვით



2016 წლიდან განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობა ბევრად აღემატება სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ არასრულწლოვანთა რაოდენობას. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის ამოქმედებამდე, განრიდების მაჩვენებელი 50%-ზე დაბალი იყო. 2016-2017 წლებში განრიდებული იქნა დანაშაულის ჩადენაში მხილებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 60%-ზე მეტი. 2018 წელს ეს მონაცემი 59% შეადგენდა. 2018 წელს 2017 წელთან შედარებით არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელი სისხლისსამართლებრივ დევნასთან მიმართებით 5%-ით იყო შემცირებული, რაც არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის ზრდით იყო განპირობებული. 2017 წელს განრიდებულ და დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 746-ს შეადგენდა, ხოლო 2018 წელს იგივე მონაცემი - 848 ერთეულს. რაც შეეხება 2019 წელს - განრიდების პროცენტული მაჩვენებელი, არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელთან მიმართებით 57%-ს წარმოადგენს. დადებითად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ 2019 წელს 14-დან 18 წლამდე პირთა მიერ დანაშაულის ჩადენის რაოდენობა 81 ერთეულით არის შემცირებული. 2019 წელს განრიდებულ და დევნადაწყებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობა 767-ს წარმოადგენს.



ის არასრულწლოვნები, რომლთა მიმართაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითად შემთხვევაში არ აკმაყოფილებდნენ განრიდების პირობებს. კერძოდ, 330 დევნადაწყებული არასრულწლოვანიდან განრიდების კრიტერიუმებს აკმაყოფილებდა მხოლოდ 135 არასრულწლოვანი, რომელთა მიმართ განრიდების გამოყენების შესაძლებლობის საკითხის განხილვის და მოსალოდნელი რისკფაქტორების გაანალიზების შემდეგ პროკურორმა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების გადაწყვეტილება მიიღო. ამდენად, **განრიდებულ და იმ ბრალდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობიდან, რომლებიც კანონით დადგენილ განრიდების საფუძვლებს ფორმალურად აკმაყოფილებდნენ 76%-ია.**

2019 წელს კვლავ დაბალია განრიდების გამოყენებამდე არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი. 2014 წელს განრიდებამდე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 78 არასრულწლოვნის მიმართ, რაც განრიდების საერთო რაოდენობის 38%-ს წარმოადგენდა, 2015 წელს - 73 არასრულწლოვნის მიმართ (25%), 2016 წელს - 74 არასრულწლოვნის მიმართ (16%), 2017 წელს - 29 არასრულწლოვნის მიმართ (6%), 2018 წელს - 34 არასრულწლოვნის მიმართ (7%), ხოლო 2019 წელს განრიდებამდე ბრალდებულად ცნობილი იქნა 35 არასრულწლოვანი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 8%-ს წარმოადგენს.



2018 წელთან შედარებით 2019 წელს გაზრდილია მძიმე დანაშაულზე განრიდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში. 2017 წელს სულ განრიდებული 475 არასრულწლოვანი პირიდან მძიმე დანაშაულის ჩადენის გამო განრიდება გამოყენებულ იქნა 220 პირზე, რაც განრიდებული არასრულწლოვნების 46%-ს წარმოადგენდა, 2018 წელს ეს მაჩვენებელი 497 არასრულწლოვნიდან 199-ს წარმოადგენს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთოდ რაოდენობის 40% გახლდათ. 2019 წელს კი სულ განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან მძიმე კატეგორიის დანაშული ჩადენილი ჰქონდა 197 არასრულწლოვანს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 45%-ია.

2019 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში განრიდება უმეტესად გამოყენებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე. 437 განრიდებული არასრულწლოვნიდან სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშული ჩადენილი ჰქონდა 296-ს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 68%-ია.

ტენდენცია გასული წლების მსგავსია - 2015-2018 წლებშიც განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ უმეტესად სწორედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული იყო ჩადენილი. უფრო კონკრეტულად, 2018 წელს- 497 არასრულწლოვნიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით

გათვალისწინებული დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 342 პირს, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 69%-ს წარმოადგენდა. 2017 წელს - 475 არასრულწლოვნიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე განრიდებული იქნა 362 არასრულწლოვანი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 76%-ს წარმოადგენდა. 2016 წელს - 462 არასრულწლოვნიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე განრიდებული იქნა 323 არასრულწლოვანი, რაც განრიდებულ არასრულწლოვანთა საერთო რაოდენობის 70%-ს წარმოადგენდა, ხოლო 2015 წელს - 297 არასრულწლოვნიდან სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის გამო განრიდება გაუფორმდა 194 არასრულწლოვანს, რაც საერთო რაოდენობის 65%-ს წარმოადგენდა.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს გენერალური პროკურატურა ახორციელებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეების მუდმივ მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ პროკურორები არასრულწლოვნის მიმართ განრიდების გადაწვეტილებას დროულად იღებენ, დაბალია სასამართლოდან საქმეთა განრიდების მიზნით დაბრუნების მაჩვენებელი - 2019 წელს განრიდებული 437 არასრულწლოვნიდან სასამართლოს მიერ საქმე განრიდების მიზნით მხოლოდ 34 შემთხვევაში დაბრუნდა.

განრიდება-მედიაციის პროგრამის ეფექტიანობის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი კრიტერიუმი განრიდების ხელშეკრულების პირობების დარღვევა და განმეორებითი დანაშაულის მაჩვენებელია.

2019 წელს განრიდების ხელშეკრულების დარღვევის 17 შემთხვევა დაფიქსირდა, რაც განრიდებულთა საერთო რაოდენობის 4%-ს წარმოადგენს. ხელშეკრულების დარღვევის 17 შემთხვევიდან განმეორებითი დანაშაული ჩაიდინა 7-მა არასრულწლოვანმა (2%), ხოლო დანარჩენმა 10-მა (2%) სხვაგვარად არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტარტეგიული განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელდა 2010-2019 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის კვლევა. კვლევის შედეგად რეციდივის მაჩვენებელი ასეთია: 2010-2018 წლებში განრიდებული 2473 არასრულწლოვნიდან განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 328-ს (13%). აქედან დადგენილების გამოტანიდან

ხელშეკრულების გაფორმებამდე განმეორებითი დანაშაული ჩადენილი ჰქონდა 4 (0,1%) არასრულწლოვანს, ხელშეკრულების მოქმედების ვადაში - 54 (1,9%) არასრულწლოვანს, ხელშეკრულების მოქმედების დასრულების შემდეგ - 270 (11%) არასრულწლოვანს. 2010-2018 წლებში განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებითი დანაშაულის ჩადენის მაჩვენებელი ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან 1, 2 და 3 წლის მანძილზე შემდეგია: 4%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 112) ჩაიდინა განმეორებითი დანაშაული ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ ერთ წელში; 7%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 178) - ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ 2 წელში; 9%-მა (2473 განრიდებული არასრულწლოვნიდან 223) - ხელშეკრულების მოქმედების დასრულებიდან პირველ სამ წელში.

არასრულწლოვანთა მიმართ ლიბერალური სისხლის სამართლის პოლიტიკის გატარება აისახა ბრალდებულ არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელზეც. 2016-2018 წლებში, წინა წლებთან შედარებით შემცირებულია პროკურორთა მიერ პატიმრობის მოთხოვნით დაყენებული შუამდგომლობების მაჩვენებელი. 2019 წელს კი წინა წელთან შედარებით არასრულწლოვანთა მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელის მცირედი ზრდა ფიქსირდება. 2014 წელს - 26,4%-ის, 2015 წელს - 21,5%-ის, 2016 წელს - 11,5%-ის, 2017 წელს - 9.1%-ის მიმართ, 2018 წელს - 8.3%-ის მიმართ, ხოლო 2019 წელს - 13%-ის მიმართ.

მოთხოვნილი პატიმრობის მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდებას, 2014 წელს - 12.5%-ს, 2015 წელს - 9.4%-ს, 2016 წელს - 4.1%-ს, 2017 წელს - 6.6%-ს, 2018 წელს -7%-ს, ხოლო 2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელმა 9,9% შეადგინა.

პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი არასრულწლოვნებში



რაც შეეხება არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილ განაჩენებს, 2014 წელს განაჩენი გამოტანილი იქნა 328 არასრულწლოვნის მიმართ, 2015 წელს - 270, 2016 წელს - 127, 2017 წელს - 179, 2018 წელს - 181, ხოლო 2019 წელს - 291 არასრულწლოვნის მიმართ:

არასრულწლოვანთა რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილი იქნა განაჩენი



2019 წელს გასამართლებული 291 არასრულწლოვანი პირიდან 34,2%-ზე განაჩენი გამოტანილი იქნა საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, ხოლო 65,8%-ის მიმართ საქმე არსებითი განხილვით დასრულდა:

არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი განაჩენები



როგორც მონაცემებიდან ჩანს, 2014-2018 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ საპროცესო შეთანხმებით დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი მაღალია არსებითი განხილვით დასრულებულ საქმეებთან შედარებით, ხოლო 2019 წელს პირიქით, არსებითი განხილვით დასრულებული საქმეების პროცენტული მაჩვენებელი აღემატება საპროცესო შეთანხმების პროცენტულ მაჩვენებელს.

საინტერესოა არასრულწლოვანთა მიმართ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა: 2014 წელს სასამართლოს არასრულწლოვნის მიმართ გამამართლებელი განაჩენი არ დაუდგენია, 2015 წელს გამართლებული იქნა 10, 2016 წელს - 6, 2017 წელს - 3, 2018 წელს - 9, ხოლო 2019 წელს 10 არასრულწლოვანი.

2016-2019 წლებში ნაკლებად იქნა გამოყენებული საპროცესო შეთანხმების პირობად თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით. 2014 წელს აღნიშნული მაჩვენებელი იყო 17%, 2015 წელს - 9%, 2016 წელს - 3,6%, 2017 წელს - 3.2%, 2018 წელს - 2,4%, ხოლო 2019 წელს - 3% ფიქსირდება:

საპროცესო შეთანხმების დადებისას სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით თავისუფლების აღკვეთის გამოყენების მაჩვენებელი



2018 წელს გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით შემუშავებული იქნა ბავშვზე მორგებული გარემოს კონცეფცია, რომლის საფუძველზეც იმავე წელს რუსთავის რაიონულ პროკურატურაში შეიქმნა ბავშვზე მორგებული გარემო. 2019 წელს ბავშვზე მორგებული გარემო გაიხსნა

ხელვაჩაურის რაიონულ პროკურატურაში. ბავშვზე მორგებული გარემო ეტაპობრივად დაინერგება სხვა სტრუქტურულ ერთეულებშიც.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სრულყოფის, ხარვეზების გამოსწორებისა და უწყებათაშორის კოორდინირებული საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს პროკურატურამ რეგიონულ დონეზე შექმნა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმი, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენელებთან ერთად ჩართულნი არიან სასამართლოს, იურიდიული დახმარების სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, იუსტიციის სამინისტროს, განათლების სამინისტროსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები. 2019 წელს არასრულწლოვანთა ადგილობრივი მულტიდისციპლინური საბჭოს 2 სხდომა გაიმართა თითოეული რეგიონის მიხედვით, რომელთა მუშაობაშიც პროკურორებთან ერთად მოსამართლეებმა, გამომძიებლებმა, ადვოკატებმა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლებმა, სოციალურმა მუშაკებმა, მედიატორებმა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა მიიღეს.

2019 წლის 19-20 მარტს პროკურატურის ინიციატივით მოწვეულ იქნა და ბორჯომში ჩატარდა არასრულწლოვანთა ადგილობრივი საკოორდინაციო მექანიზმის ორი სხდომა საქართველოს რვა რეგიონის პროფესიონალთა მონაწილეობით. 19 მარტს შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს სამეგრელოს, აჭარის, იმერეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების, ხოლო 20 მარტს - შიდა ქართლის, კახეთის, ქვემო ქართლისა და თბილისის წარმომადგენლებმა. არასრულწლოვანთა ადგილობრივი საბჭოების რიგით მეორე სხდომები 2019 წლის 2- 6 დეკემბრის პერიოდში გაიმართა საქართველოს ყველა რეგიონში.

2019 წლის 15 მაისს გენერალურ პროკურატურაში, ევროკავშირის მხარდაჭერით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თემაზე კონფერენცია გაიმართა. კონფერენციაზე წარდგენილ იქნა ინფორმაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული მიღწევებისა და გამოწვევების შესახებ. კერძოდ დამსწრე პირებს წარედგინათ ანგარიში კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული სისხლის სამართლის პოლიტიკის შესახებ, განრიდებულ არასრულწლოვანთა მახასიათებლების ზოგადი კვლევა და განრიდებულ არასრულწლოვანთა მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის კვლევა.

არასრულწლოვანთა სპეციალიზებული პროკურორების საქმიანობის ხარისხის მონიტორინგის სრულყოფის მიზნით, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მხარდაჭერით, ადგილობრივი ექსპერტის

მონაწილეობით შემუშავებული იქნა რეკომენდაცია, რომელის საფუძველზეც მონიტორინგის არსებულ მექანიზმს დაემატა რამდენიმე მიმართულება, რაც მეტად უზრუნველყოფს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმეთა ეფექტიან მონიტორინგს სისხლის სამართლებრივი დევნის, განრიდების და დაზარალებულ არასრულწლოვანთა უფლებრივი მდგომარეობის მიმართულებით.

პროკურატურა, როგორც საგამოძიებო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანო

გამოძიების დაწყება

საქართველოს პროკურატურამ, როგორც საგამოძიებო ორგანომ, 2017 წელს გამოძიება დაიწყო 724, 2018 წელს 903, ხოლო 2019 წელს 655 სისხლის სამართლის საქმეზე.



2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში გამოძიება ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 342-ე (სამსახურებრივი გულგრილობა), 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის

უსაფრთხოების წესების დარღვევა), 126-126[1]-ე (ძალადობა და ოჯახში ძალადობა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება) და 341-ე (სამსახურებრივი სიყალბე) მუხლებით.

მუხლები, რომლითაც დაიწყო გამოძიება



სისხლისსამართლებრივი დევნა

საქართველოს პროკურატურის მიერ გამოძიებულ სისხლის სამართლის საქმეებზე 2017 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 185, 2018 წელს 139, ხოლო 2019 წელს 169 პირის მიმართ.



2019 წელს, ისევე როგორც წინა წლებში სისხლისსამართლებრივი დევნა ძირითადად დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება-გაფლანგვა), 362-ე (ყალბი დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის ან ბლანკის დამზადება, გასაღება ან გამოყენება), 332-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 276-ე (ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევა) მუხლებით.

მუხლები, რომლითაც დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა



2019 წელს დევნადაწყებული 169 პირიდან 81 მათგანი (47.93%), დანაშაულის ჩადენის დროს სხვადასხვა რანგის მოხელე იყო. 2019 წელს, წინა წლების მსგავსად დევნადაწყებული საჯარო მოხელეებიდან უმეტეს ნაწილს წარმოადგენდენ პოლიციელები.



განაჩენები

2017 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 167 პირის მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 13 პირის მიმართ, 2018 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 190 პირის მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 11 პირის მიმართ, 2019 წელს გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი იქნა 185 პირის მიმართ, ხოლო გამამართლებელი განაჩენი - 15 პირის მიმართ,



იძულებით ჩამორთმეული ქონების დაბრუნება

2019 წელს გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 80 ფაქტი და დაზარალებულად იქნა ცნობილი 81 პირი, რომელთაც საქართველოს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდათ (ან დაბრუნების პროცესშია) დაახლოებით 3 700 000 ლარის ღირებულების ქონება.

მათ შორის:

- ✓ 83 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 440 000 კვ.მ;
- ✓ სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“ (საავადმყოფოს შენობა ზუგდიდში).

2019 წელს საქართველოს პროკურატურამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიმართა 5 მსჯავრდებულის მიმართ განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით. მათ შორის 2 მსჯავრდებული ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს. აღნიშნულ საქმეებზე ჩატარდა ხელახალი სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება. რომლის ფარგლებშიც მოპოვებულმა მტკიცებულებებმა გამორიცხა ხსენებული პირების მიერ იმ დანაშაულის ჩადენის ფაქტი, რისთვისაც ისინი მსჯავრდებულები იყვნენ. ამავე პერიოდში, სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შუამდგომლობის საფუძველზე, 9 პირის მიმართ გამოტანილი იქნა გამამართლებელი განაჩენი, რომელთაგანაც 4 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს.

2019 წელს სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გამოძიებულ და სასამართლოში არსებითად განხილვისთვის წარმართულ სისხლის სამართლის საქმეზე, ერთი პირის მიმართ (ოთხ ეპიზოდში) დადგენილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი.

2019 წელს დეპარტამენტის პროკურორები ასევე მონაწილეობდნენ, დაცვის მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო 3 სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გადასინჯვის სასამართლო პროცესებში, რომლებზედაც ხორციელდებოდა სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერა. აღნიშნულ საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენები ძალაში იქნა დატოვებული. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში 2019 წელს 2 საქმეზე არ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, ხოლო ერთ სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება.

სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ 2015-2019 წლებში გამოვლენილი იქნა მოქალაქეთათვის ქონების იძულებით ჩამორთმევის 171 ფაქტი, დაზარალებულად იქნა ცნობილი 335 პირი და მხილებული იქნა 46 საჯარო მოხელე, რომელთაგან 31-ის მიმართ, გამოძიების წინაშე მათი განსაკუთრებული თანამშრომლობის გამო, გამოყენებული იქნა პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება; 4 საჯარო მოხელის მიმართ შეწყდა გამოძიება მათი გარდაცვალების გამო, ხოლო 12 პირის მიმართ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა, საიდანაც 11 პირის მიმართ დადგენილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის შექმნიდან 2019 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში დაზარალებულად ცნობილი 335 პირიდან, 256 პირს პროკურატურის შემაჯამებელი გადაწყვეტილების შედეგად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაუბრუნდა დაახლოებით **53,500,000 ლარის** ღირებულების უძრავი და მოძრავი ქონება. მათ შორის:

- ✓ 133 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით დაახლოებით 2 560 000 $მ^2$;
- ✓ 6 საცხოვრებელი ბინა;
- ✓ 2 აგარაკი;
- ✓ საოფისე და კომერციული ფართები;
- ✓ სს „ენგურის სამედიცინო კომპლექსი“;
- ✓ ,,აკურას“ ღვინის ქარხანა;
- ✓ გორში მდებარე სასტუმრო და საცურაო კომპლექსები;

- ✓ შოვის პანსიონატის ტერიტორია;
- ✓ 2 თვითმფრინავი და 13 შვეულმფრენი;
- ✓ 80 ერთეული ავტომანქანა;
- ✓ ოქროს ნაკეთობები;
- ✓ ფიროსმანის ფერწერული ტილო;
- ✓ ანტიკვარული წიგნი და სხვა ქონებები.

2016 წლის 24 ივნისს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების საფუძველზე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა 79 მსჯავრდებულის მიმართ მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის თაობაზე, მათგან 18 ატარებდა პოლიტპატიმრის სტატუსს, 69 პირის მიმართ სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი, დანარჩენ მსჯავრდებულებზე კი გრძელდება საქმის განხილვა.

ცალკეულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა

ოჯახური დანაშაული

საქართველოს პროკურატურისთვის ბოლო წლებია პრიორიტეტს წარმოადგენს ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, რაც ასევე აისახება მსხვერპლთა მიერ სამართალდამცავი ორგანოებისთვის მიმართვიანობის მნიშვნელოვნად გაზრდაში.

ოჯახური დანაშაულის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებლები წლების მიხედვით შემდეგია:



როგორც ვხედავთ, 2019 წელს 2018 წელთან შედარებით ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი გაიზარდა 15,8%-ით, ხოლო 2018 წელს 2017 წელთან შედარებით ოჯახური ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე დევნის დაწყების მაჩვენებელი 99%-ით არის გაზრდილი.

ოჯახურ დანაშაულში ბრალდებული პირების მიმართ კვლავ ხორციელდება მკაცრი სისხლის სამართლის პოლიტიკა. გაზრდილია პროკურორთა მიერ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის მოთხოვნის მაჩვენებელი. კერძოდ, ოჯახური დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულ პირთა მიმართ სასამართლოში წარდგენილი შუამდგომლობებიდან 2014 წელს პატიმრობა მოთხოვნილი იქნა 14%-ის, 2015 წელს - 26%-ის, 2016 წელს - 54%-ის, 2017 წელს - 83%-ის, 2018 წელს - 91%-ის, ხოლო 2019 წელს - 92%-ის მიმართ.



რაც შეეხება ოჯახურ დანაშაულზე მოთხოვნილი პატიმრობის დაკმაყოფილების მაჩვენებელს, 2014 წელს ეს მაჩვენებელი იყო 83%, 2015 წელს - 70%, 2016 წელს - 52%, 2017 წელს - 58%, 2018 წელს - 61%, ხოლო 2019 წელს - 56%-ის მიმართ.



შემცირდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირებთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მაჩვენებელი. 2014 წელს საპროცესო შეთანხმება გაფორმდა ოჯახური დანაშაულისთვის

მსჯავრდებულ პირთა 57.4%-თან, 2015 წელს - 50.9%-თან, 2016 წელს - 50.3%-თან, 2017 წელს 42.1%-თან, 2018 წელს - 12%-თან, ხოლო 2019 წელს - 5,3%-თან.

ოჯახურ დანაშაულზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების პროცენტული მაჩვენებელი



ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. საქართველოს პროკურატურის 2017-2021 წლების სტრატეგიით და სამოქმედო გეგმით, ოჯახური დანაშაულის პრევენციის და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი მექანიზმის ეფექტიანად გამოყენების მიზნით, მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებები განისაზღვრა. მათ შორის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობის და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პროკურორთა და გამომძიებელთა კვალიფიკაციის ამაღლება და ოჯახური დანაშაულის საქმეებზე საპროკურორო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების უზრუნველსაყოფად, პროკურატურის თანამშრომელთა სპეციალიზაცია. საქართველოს მთავარი პროკურორის მიერ 2018 წლის 20 თებერვალს გამოცემული იქნა ბრძანება პროკურატურის ორგანოებში ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების, საპროცესო ხელმძღვანელობისა და სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ეფექტიანად განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შესახებ და შესაბამისად ოჯახური დანაშაულის საქმეებზე უფლებამოსილებას ახორციელებენ ის პროკურორები და პროკურატურის გამომძიებლები, რომლებმაც ოჯახური დანაშაულის თემაზე სპეციალური სასწავლო კურსი გაიარეს.

სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამა, რომელიც გაეროს ქალთა ორგანიზაციის მხარდაჭერით ხორციელდება, ეროვნულ და საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებთან ერთად, ძალადობის შედეგად დაზარალებულებთან სწორი კომუნიკაციის უნარებსა და ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავს.

2019 წლის განმავლობაში გასული წლების მსგავსად საგრძნობლად გაიზარდა ოჯახური დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ დევნის დაწყების მაჩვენებელი და დევნის დაწყების საერთო მაჩვენებლის ¼-ს შეადგინა. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა სპეციალიზებულ პროკურორთა რაოდენობის გაზრდა. 2019 წლის განმავლობაში გადამზადება გაიარა დამატებით პროკურორების ორმა ჯგუფმა, რის შედეგადაც სპეციალიზებული პროკურორების და გამომძიებლების რიცხვი სისტემაში გაიზარდა 193-მდე.

საპროკურორო პრაქტიკის არსებითად გაუმჯობესების მიუხედავად, 2019 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეთა მონიტორინგი. მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა:

- ✓ გამოძიების დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას;
- ✓ დაზარალებულად ცნობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების საკითხს;
- ✓ საჭირო საგამოძიებო მოქმედებების დროულ ჩატარებას;
- ✓ გამოძიების ჩატარების ხარისხს;
- ✓ სისტემატური ძალადობის გამოკვეთას;
- ✓ დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაციის საკითხს;
- ✓ ძალადობის შემსწრე არასრულწლოვანთა დაზარალებულად ცნობის საკითხს;
- ✓ მაკვალიფიცირებელი გარემოებების დადგენას;
- ✓ სათანადო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივი დევნის დროულად და სწორი კვალიფიკაციით დაწყებას.

სასამართლო მონიტორინგის ფარგლებში, კი ფასდება პროკურორების მიერ:

- ✓ აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ხარისხი;
- ✓ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიანი მხარდაჭერის საკითხი.

სისხლის სამართლის საქმეების მონიტორინგისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახური ძალადობის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთას. 2019 წელს წინა წლებთან შედარებით გაიზარდა ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის სისხლის სამართლის საქმეებში გენდერული დისკრიმინაციის მოტივის იდენტიფიცირების შემთხვევათა რაოდენობა.

მონიტორინგის პროცესში იდენტიფიცირებული საკითხები გათვალისწინებული იქნა ასევე სპეციალიზაციის ტრენინგ მოდულში. მონიტორინგის შედეგები საფუძვლად დაედო „სისხლის სამართლის კოდექსის 11[1] და 126[1] მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განხორციელების შესახებ“ არსებული რეკომენდაციის განახლებას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასამართლო პრაქტიკის შესწავლას. 2019 წელს გაანალიზდა ოჯახური დანაშაულის საქმეებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები - განაჩენები და აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შესახებ განჩინებები. მომზადდა შესაბამისი დოკუმენტი, რაც გაეგზავნათ პროკურორებს. აღნიშნული მიზნად ისახავს სასამართლო პრაქტიკისა და ტენდენციების პროკურორებისთვის დროულად გაცნობას და პრაქტიკაში გათვალისწინებას.

ოჯახში ძალადობის რეკომენდაციის შევსების მიზნით 2019 წელს მომზადდა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის ფაქტებზე შემაკავებელი ორდერების მონიტორინგის განხორციელების თაობაზე“. რეკომენდაციის საფუძველზე პროკურატურა მუდმივ რეჟიმში უწევს მონიტორინგს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ თანამშრომელთა მიერ შემაკავებელი ორდერების გამოცემას და გამოძიების დაწყებას.

2019 წელს პროკურატურამ შეიმუშავა რეკომენდაცია „ოჯახში ძალადობის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ“, რომელშიც დეტალურად გაიწერა აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინაპირობები. პროკურატურა ახორციელებს აღნიშნული რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგს, რათა საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციაში განახორციელოს სათანადო ცვლილებები.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს გენერალური პროკურატურის მნიშვნელოვან პარტნიორ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს ევროპის საბჭო. 2019 წელს ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, პროკურორების, მოსამართლეების და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მონაწილეობით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში

ძალადობის საკითხებზე სამუშაო შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა იმსჯელეს ნორმის განმარტების, მტკიცებულებათა სტანდარტის, საკანონმდებლო ხარვეზების და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ერთობლივი დისკუსიები საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ოჯახური დანაშაულის საქმეებზე ეფექტიანი სამართალწარმოების მიზნით პროფესიონალებს შორის სხვადასხვა პროცესუალურ თუ მატერიალურ სამართლებრივ საკითხებზე ჩამოყალიბდეს ერთგვაროვანი ხედვა.

2019 წლის განმავლობაში, ასევე ევროპის საბჭოს დახმარებით, ჩატარდა ორ დღიანი ტრენინგები ქალთა მიმართ ძალადობის და ოჯახში ძალადობის საქმეების ეფექტიან გამოძიებასა და სისხლისსამართლებრივ დევნაზე. შეხვედრას სპეციალიზებული პროკურორები ესწრებოდნენ. ტრენინგებს უძღვებოდნენ უცხოელი ექსპერტები. ტრენინგების პროგრამა მოიცავდა როგორც საერთაშორისო, ისე ევროპულ საკანონმდებლო ჩარჩოს, მათ შორის ევროპის საბჭოს სტამბოლის კონვენციას და სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო გამოცდილების მაგალითებს.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ჩართულ უწყებებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. 2019 წელს დასავლეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში გაიმართა 2 შეხვედრა. შეხვედრები ევროპის საბჭოს მხრადაჭერით განხორციელდა. შეხვედრაში მონაწილეობას იღებდნენ სპეციალიზებული პროკურორები, პროკურატურის გამომძიებლები და კოორდინატორები, აგრეთვე იმ ფონდებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს იურიდიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო დახმარებას ან/და თავშესაფარს სთავაზობენ. მულტისექტორული შეხვედრების მიზანია პროკურატურასა და აღნიშნულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის და კოორდინაციის ხელშეწყობა. მულტისექტორული შეხვედრები წარმოადგენს ერთგვარ პლატფორმას არსებული სერვისების შესახებ ინფორმაციისა და გამოცდილების გაზიარებისთვის. მსგავსი შეხვედრები ხელს უწყობს პროკურატურის წარმომადგენლებისა და სერვისის მომწოდებელ ორგანიზაციებს შორის კომუნიკაციის გამარტივებას, მათი საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდას, სამუშაო პროცესში არსებული ხარვეზების იდენტიფიცირებას და თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითებზე ურთიერთთანამშრომლობის გაუმჯობესებას.

2019 წელს სისხლის სამართლის კოდექსში განხორციელდა ცვლილება, რომლის თანახმადაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახში ძალადობის ან იმავე კოდექსის 11[1] მუხლით გათვალისწინებული ოჯახური დანაშაულის სისხლის

სამართლის საქმეზე ბრალდებულის ახლო ნათესავს, რომელსაც უშუალოდ ამ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი, ამ მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული უფლებით სარგებლობამდე, დაკითხვის ჩამტარებელმა პირმა უნდა შესთავაზოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან კონსულტაციის გავლა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებამდე 3-დღიანი მოსაფიქრებელი ვადით სარგებლობა. აღნიშნული ცვლილება ბრალდების მხარის ხელში წარმოადგენს დამატებით შესაძლებლობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსხვერპლის მიერ ახლო ნათესავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე უარის თქმის გადაწყვეტილების მიღება გაუცნობიერებლად - ძალადობის განმეორების რისკებისა და იმ საფრთხეების გათვალისწინების გარეშე, რის წინაშეც შესაძლოა დადგეს მოძალადის მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია რომ პროკურორმა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან ერთობლივი ძალისხმევით, საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში გააქტიურონ მუშაობა, დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის, დანაშაულის ჩამდენი პირის დასჯისა და მსხვერპლის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით.

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები

2019 წელს, გასული წლების მსგავსად, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენდა. უკანასკნელ წლებში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯების გათვალისწინებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეებში სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა.

2019 წელს სიძულვილის მოტივის შესწავლა მიმდინარეობდა 272 სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში. კერძოდ,

- ✓ სქესის/გენდერის ნიშანი - 120 საქმეში;
- ✓ რელიგიური ნიშანი - 40 საქმეში;
- ✓ გენდერული იდენტობა - 31 საქმეში;
- ✓ სექსუალური ორიენტაცია - 33 საქმეში;
- ✓ შშმ - 16 საქმეში;
- ✓ სექსუალური ორიენტაცია და გენდერული იდენტობა - 11 საქმეში;
- ✓ ეროვნული ნიშანი - 5 საქმეში;

- ✓ რასა - 4 საქმეში;
- ✓ ეთნიკური ნიშანი - 3 საქმეში;
- ✓ პოლიტიკური შეხედულება - 2 საქმეში;
- ✓ რელიგია და გენდერი - 1 საქმეში;
- ✓ რასა და ეთნიკური ნიშანი - 1 საქმეში;
- ✓ სხვა ნიშანი - 5 საქმეში.

სისხლისსამართლებრივი დევნა კი 2019 წელს დაიწყო 183 პირის მიმართ. მათგან, ბრალდება წარედგინა:

- ✓ 119 პირს გენდერის/სქესის ნიშნით;
- ✓ 19 პირს - სექსუალური ორიენტაციის ნიშნით;
- ✓ 13 პირს - რელიგიის ნიშნით;
- ✓ 12 პირს - გენდერული იდენტობის ნიშნით;
- ✓ 4 პირს - რასის ნიშნით;
- ✓ 3 პირს - შშმ ნიშნით;
- ✓ 4 პირს - რასის და ეთნიკური ნიშნით;
- ✓ 4 პირს - ეროვნული ნიშნით;
- ✓ 1 პირს - რელიგიის და გენდერის ნიშნით;
- ✓ 1 პირს - სექსუალური ორიენტაციის და გენდერული იდენტობის ნიშნით;
- ✓ 1 პირს - პოლიტიკური შეხედულების ნიშნით;
- ✓ 2 პირს - სხვა ნიშნით.

2019 წელს რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით გამოძიება დაიწყო 41 საქმეზე, ხოლო სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 14 პირის მიმართ:

- ➢ 13 პირის მიმართ რელიგიური ნიშნით;
- ➢ 1 პირის მიმართ - რელიგიური და გენდერული ნიშნებით.

რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით:

- ✓ 126-ე მუხლით - 3 პირის მიმართ;
- ✓ 155-ე მუხლით - 3 პირის მიმართ;
- ✓ 156-ე მუხლით - 3 პირის მიმართ;
- ✓ 118-ე მუხლით - 1 პირის მიმართ;

- ✓ 11^1-151-მუხლით - 1 პირის მიმართ;
- ✓ 126^1 და 11^1-151-ე მუხლებით - 1 პირის მიმართ;
- ✓ 187-ე მუხლით - 1 პირის მიმართ.

რელიგიური და გენდერული ნიშნებით შეუწყნარებლობის მოტივით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო საქართველოს სსკ-ის 126^1 და 11^1-151-ე მუხლებით - 1 პირის მიმართ.

რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით დაზარალებულად ცნობილ იქნა 30 პირი:

- ➢ რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით - 29 პირი (მათ შორის 3 იურიდიული პირი);
- ➢ რელიგიური და გენდერული შეუწყნარებლობის ნიშნით - 1 პირი.

2019 წელს საქართველოს პროკურატურაში სპეციალიზებული იყო 71 პროკურორი/გამომძიებელი, მათგან 15 მენეჯერი, 56 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეებზე საპროცესო ხელმძღვანელობას პრიორიტეტულად სპეციალიზებული პროკურორები ახორციელებენ.

2019 წელს საქართველოს პროკურატურაში გაიმართა კონფერენცია სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის თემაზე. კონფერენციის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს პროკურატურის მიერ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში. კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის 2016-2019 წლების ანალიზი.

სისხლის სამართლის საქმეების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მნიშვნელოვნად არის გაზრდილი სპეციალიზებული პროკურორების მიერ სისხლის სამართლის საქმეებში სიძულვილის მოტივის გამოკვეთის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებათა ხარისხი და ეფექტიანობა. შედეგად, პროკურორების მიერ, 2019 წელს პირველად მოხდა ბრალდების შესახებ დადგენილებებში ორი დისკრიმინაციული მოტივის ერთდროულად იდენტიფიცირება, მათ შორის რასისა და ეთნიკური კუთვნილების, გენდერისა და რელიგიის და სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის დისკრიმინაციული მოტივები იქნა იდენტიფიცირებული.

2019 წელს, ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასამართლო სისტემის წარმომადგენლებისთვის, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთან ბრძოლის თემაზე HELP პროგრამის ახალი კურსი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სწავლებას 15 პროკურორი გადის. HELP-ის პრაქტიკული კურსი ,,სიძულვილით მოტივირებული

დანაშაულის ეფექტიანი გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის უნარ-ჩვევები“ საპილოტე კურსია, რომელიც პირველად საქართველოში ინერგება. HELP-ის პროგრამით მსგავსი კურსი პირველად ტარდება და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნებიდან სწორედ საქართველო შეირჩა. სასწავლო კურსის მიზანია პროკურორების, მოსამართლეებისა და გამომძიებლების უნარების გაუმჯობესება სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან ბრძოლაში, რათა მათ უკეთ შეძლონ ეფექტიანი რეაგირება, სიძულვილის მოტივის გამოკვეთა, სისხლისსამართლებრივი დევნა და მსჯავრდება.

არასათანადო მოპყრობა

2019 წელს საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 18 სისხლის სამართლის საქმეზე. აქედან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით გამოძიება დაიწყო 2 ფაქტზე, ხოლო 333-ე მუხლით - 16 ფაქტზე. 2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 2 თანამშრომლის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ბ“ ქვეპუნქტით.

2019 წელს საქართველოს პროკურატურის სტრუქტურულ დანაყოფებში პოლიციის თანამშრომლების მხრიდან განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიება დაიწყო 298 სისხლის სამართლის საქმეზე.

აქედან, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის

- ✓ 144^1 მუხლით -1 ფაქტზე;
- ✓ 144^3 მუხლით - 9 ფაქტზე;
- ✓ 333-ე მუხლით - 288 ფაქტზე.

სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ. აქედან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144^3 მუხლით 1 პირის მიმართ, ხოლო 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით - 3 პირის მიმართ.

გამოძიება დანაშაულის ნიშნების არ არსებობის გამო შეწყდა 31 სისხლის სამართლის საქმეზე.

2019 წელს საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოსა და თავდაცვის სამინისტროში, იუსტიციის სამინისტროსა და სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობისა და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობაზე ზედამხედველობის დეპარტამენტის პროკურორები პენიტენციური დეპარტამენტის სხვადასხვა დაწესებულებებში სისტემატურად ახორციელებდნენ ვიზიტებს. სულ განხორციელდა - 160 ვიზიტი, რომელთა ფარგლებში პროკურორები შეხვდნენ და გაესაუბრნენ როგორც ბრალდებულებს, ასევე მსჯავრდებულებს. მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, იმ შემთხვევებში, როდესაც ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა გასაუბრებისას მიუთითა მის მიმართ განხორციელებული სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, გასაუბრების ოქმი შემდგომი რეაგირებისთვის, ტერიტორიული ქვემდებარეობით გადაიგზავნა პროკურატურის შესაბამის საგამოძიებო დანაყოფში.

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტი

2019 წლის 01 ნოემბერს, საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის საგამოძიებო სამსახურის ამოქმედებისთანავე, საქართველოს პროკურატურის სისტემაში სპეციალური დეპარტამენტი შეიქმნა, რომელიც საპროცესო ხელმძღვანელობას უწევს საჯარო მოხელეთა და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა მიერ ჩადენილ ძალადობრივ დანაშაულებს და ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივ დევნას და სახელმწიფო ბრალდებას ახორციელებს.

საჯარო მოხელეთა, სამართალდამცავთა მხრიდან ჩადენილი არასათანადო მოპყრობის, ცემა-წამების, ძალადობის და სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ფაქტების ეფექტური, დროული და დამოუკიდებელი გამოძიება საზოგადოების მოთხოვნა და საქართველოს მიერ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ერთ-ერთი ვალდებულება იყო, რაც წარმატებით განხორციელდა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის წარმოებაში არსებულ ერთ სისხლის სამართლის საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პოლიციის ერთი თანამშრომლის მიმართ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 335-ე მუხლის პირველი ნაწილით და ერთ საქმეზე ორი პირი ცნობილ იქნა დაზარალებულად.

საქართველოს პროკურატურაში სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის შექმნამ და ამოქმედებამ დამოუკიდებელი გამოძიების

ეფექტურობის გაზრდის მნიშნელოვანი წინაპირობა და ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვის დამატებითი გარანტიები შექმნა.

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს პროკურატურის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა სხვადასხვა სასწავლო აქტივობა. წამებისა და არასათანადო მოპყრობის თემაზე ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ჩატარდა 2 ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 25 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. მათ შორის, ერთ ტრენინგში პროკურორებთან ერთად მონაწილეობდნენ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის თანამშრომლები. ტრენინგების თემატიკა მოიცავდა არასათანადო მოპყრობის დანაშაულების სწორი კვალიფიკაციის და თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიხედვით. პროგრამის ფარგლებში განხილული იქნა წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის ძირითადი ელემენტები; არასათანადო მოპყრობის ეფექტიანი გამოძიების სტანდარტები, აღკვეთის ღონისძიების დასაბუთების ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტები, ჩხრეკა/ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ევროპული სასამართლოს პრაქტიკა.

ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს პროკურატურის, ბოლო წლების საქმიანობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებულ ყოველწლიურ ანგარიშში, რომელიც აფასებს სახელმწიფოებს ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით გატარებული ღონისძიებებით, საქართველო წინა წლების მსგავსად ისევ შეფასების პირველ კალათაშია, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა სრულად აკმაყოფილებს ტრეფიკინგთან ბრძოლის სტანდარტებს.

ანგარიშში ხაზგასმულია, რომ საქართველო განაგრძობს მტკიცე და შეუქცევად ძალისხმევას ტრეფიკინგთან ბრძოლის მიმართულებით, რაც განაპირობებს ქვეყნის დადებით შეფასებას - ოთხ შკალიანი რეიტინგული სისტემის პირველ, უმაღლეს კალათაში ყოფნას. აღსანიშნავია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2019 წლის ანგარიშში აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის საქართველო ერთადერთია, რომელიც პირველ კალათაში მოხვდა.

2019 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 27 ტრეფიკიორის მიმართ. შესაბამისად წინა წლებთან შედარებით დევნის მაჩვენებელი 4-ჯერ არის გაზრდილი. 2018 წელს სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებული იყო 7 პირის მიმართ, 2017 წელს კი 4 ტრეფიკიორის მიმართ. რაც შეეხება დაზარალებულებს, 2019 წელს დაზარალებულად ცნობილი იქნა 29 პირი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია 2019 წელს არასრულწლოვანთა მიმართ ჩადენილი ტრეფიკინგის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის შედეგები. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებულ მოქმედებებს გამოეხმაურნენ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები, რომლებმაც მაღალი შეფასება მისცეს ქართველი გამომძიებლების და პროკურორების საქმიანობას და აღნიშნეს რომ ეს საქმე არის წარმატებული საერთაშორისო თანამშრომლობის ნათელი მაგალითი, რომელშიც საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა ღირსეული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

საქართველოს პროკურატურა ადამიანით მოვაჭრეების მიმართ ატარებს მკაცრ სისხლის სამართლის პოლიტიკას. პროაქტიულად ხორციელდება ტრეფიკინგის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიცირება, ყველა შესაძლო ტრეფიკინგის ფაქტზე მყისიერად იწყება გამოძიება და ხორციელდება ეფექტიანი საპროცესო ხელმძღვანელობა. ეს მნიშვნელოვანი პროცესი მთავრდება სასამართლო განხილვებით, პროკურატურის მიერ სახელმწიფო ბრალდების კვალიფიციური მხარდაჭერით.

ტერორიზმი

თანამედროვე მსოფლიოსათვის ტერორიზმი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას. ბოლო წლებში ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ ტერორისტული ორგანიზაცია ,,ისლამური სახელმწიფო“ არის ტერორისტული საფრთხის ყველაზე მკაფიო გამოვლინება. აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია აქტიურად ახორციელებდა და ახორციელებს პირთა რეკრუტირებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს პროცესები უარყოფითად აისახა კავკასიის რეგიონზე, მათ შორის საქართველოზეც. მიუხედავად იმისა, რომ ,,ისლამური სახელმწიფოს“ გავლენა მნიშვნელოვნად შემცირებულია, მისგან გამომდინარე ნეგატიური პროცესები დღესაც უარყოფითად მოქმედებს ანტიტერორისტული მიმართულების კუთხით.

საქართველოში სამართალდამცავი სისტემების ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ ბოლო პერიოდში, ტერორისტული ორგანიზაციის მხარდამჭერთა რაოდენობა შემცირდა,

ხოლო მათი გავლენები მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც აისახა საქართველოზეც. ამას, ცხადია, ხელი შეუწყო საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების კომპლექსურმა და კოორდინირებულმა მიდგომამ, რაც აისახა აღნიშნული კატეგორიის დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელში.

2019 წელს ,,ისლამური სახელმწიფოს" წევრობისათვის სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 1 პირის მიმართ, რომლის ბრალდების სისხლის სამართლის საქმე ამჟამად განიხილება სასამართლოში.

გლობალური უსაფრთხოების კუთხით მეტად მნიშვნელოვანია საქართველოს გენერალური პროკურატურის წარმატებული საქმიანობა ბირთვული და რადიოაქტიური ნივთიერებების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ. 2019 წელს ამოღებული იქნა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის მომეტებული საფრთხის შემცველი ნივთიერებები - ბირთვული მასალა: ურანი და თორიუმი. სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ და სამივე მათგანის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი.

ორგანიზებული დანაშაული

საქართველოს პროკურატურისთვის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმის ,,ქურდული სამყაროს" წინააღმდეგ ბრძოლა.

2019 წელს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223^1, 223^2, 223^3 და 223^4-ე მუხლებით სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო - 42 პირის მიმართ, მათ შორის: ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტზე -25 პირის მიმართ, კანონიერი ქურდობის ფაქტზე -3 პირის მიმართ, ქურდულ გარჩევაში მონაწილეობის ფაქტზე -8 პირის მიმართ, ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერის ფაქტზე -2 პირის მიმართ, ხოლო „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის ფაქტზე -4 პირის მიმართ.

2019 წლის მონაცემებით, ქურდული სამყაროს წევრობის, ქურდული სამყაროს საქმიანობის მხარდაჭერისა და „კანონიერი ქურდისთვის" მიმართვის საქმეებზე გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი 13-პირის მიმართ.

საქართველოს პროკურატურის სისხლის სამართლის პოლიტიკა აღნიშნული დანაშაულის ჩამდენი პირების მიმართ არის საკმაოდ მკაცრი. ყველა ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით მოთხოვნილი იქნა პატიმრობა, რაც სასამართლოს მიერ ყველა შემთხვევაში დაკმაყოფილდა.

ნაფიცი მსაჯულების მიერ საქმეთა განხილვა

2019 წელს ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, საქართველოს მასშტაბით განიხილა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით დაკვალიფიცირებული 5 სისხლის სამართლის საქმე. ხუთივე საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით)

2011 წლიდან 2019 წლის ჩათვლით ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ, საქართველოს მასშტაბით განიხილა 43 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან 35 სისხლის სამართლის საქმე დაკვალიფიცირებული იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ მკვლელობა) ან/და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე (განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) მუხლებით. 8 სისხლის სამართლის საქმე კი შეეხებოდა სამოხელეო და ფინანსურ დანაშაულებს.

ზემოაღნიშნული 35 სისხლის სამართლის საქმიდან, 27 საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი განზრახი მკვლელობის კვალიფიკაციით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე ან/და 108-ე მუხლებით), 2 საქმე გადაკვალიფიცირდა შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ მკვლელობაზე, 2 საქმეზე ბრალდებულები დამნაშავედ იქნენ ცნობილნი სსკ-ის 108-ე და 109-ე მუხლთან ერთად წარდგენილ სხვა ბრალდებებში, 3 საქმეზე დადგა სრულად გამამართლებელი განაჩენი, ხოლო 1 საქმეზე ნაწილობრივ გამამტყუნებელი განაჩენი (ორი ბრალდებულიდან ერთ-ერთი დამნაშავედ იქნა ცნობილი მკვლელობის კვალიფიკაციით, ხოლო მეორე ამავე ბრალდებაში გამართლდა და დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვა ბრალდებით).



დარჩენილი რვა სისხლის სამართლის საქმე შეეხებოდა ძირითადად თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ დანაშაულებს და ასევე, იმ დანაშაულებს, რომლებიც არ შეიცავს 108-ე და 109-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების შემადგენლობას. აღნიშნული საქმეების განხილვის დასასრულს ორ შემთხვევაში მსაჯულებმა მიიღეს გამამტყუნებელი ხოლო ექვს საქმეზე გამამართლებელი ვერდიქტი.

საქართველოს პროკურატურაში ბოლო წლებში გადადგმული ნაბიჯები უზრუნველყოფს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო პროცესზე სახელმწიფო ბრალდების ეფექტიან მხარდაჭერას, რაც აისახება ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. პროკურატურის თანამშრომლების გადამზადების ინტენსიური კურსი ხელს უწყობს სასამართლო უნარ-ჩვევების გაუმჯობესებას, პროკურორები ავითარებენ ახლებურ მიდგომებს, რომლებიც პროცესების გამარტივებას და მოკლე დროში დასრულებას უწყობს ხელს.

2019 წელს გამართული სასამართლო პროცესების ხანგრძლივობა ორჯერ ნაკლები იყო წინა წლების სასამართლო პროცესების ხანგრძლივობასთან შედარებით. ასევე, მნიშვნელოვნად შეიცვალა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესი. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საჭირო მასალის ვიზუალიზაციას და პროცესში მონაწილე პირების (როგორც პროკურორების ასევე ბრალდების მხარის მოწმეების) პრეზენტაციების მომზადებას, რამაც საკითხი ბოლომდე მარტივად გასაგები გახადა. 2019 წელს გამართულ სასამართლო პროცესებზე ასევე მომზადდა შემაჯამებელი ხასიათის დოკუმენტი, რომელშიც სრულად აისახა ყველა მნიშვნელოვანი მტკიცებულების ურთიერთკავშირი და მათი შინაარსის გავლენა მისაღებ გადაწყვეტილებაზე.

2019 წელს პროკურატურის ორგანიზებით, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტთან დაკავშირებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელდა არაერთი პროექტი. პროკურატურის თანამშრომლები, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით, უმაღლეს სასწავლებლებთან გაფორმებული მემორანდუმების ფარგლებში აწარმოებდნენ შეხვედრებს სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან. შეხვედრის მიმდინარეობისას პრეზენტატორები მიმოიხილავდნენ პროკურატურის სისტემას და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის ფუნქციონირების თავისებურებებს, ძირითად მიღწევებსა და გამოწვევებს რომელთა არსებობის პირობებშიც აუცილებელია ინტენსიური და მაღალკვალიფიციური ზომების მიღება.

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლება

გამოძიებისა და საპროკურორო საქმიანობის ხარისხის ამაღლების მიზნით:

- 2019 წელს შეფასების სისტემის საფუძველზე, ჩატარდა საპროცესო დოკუმენტების ხარისხის მონიტორინგი. სამართლებრივი წერის კომპონენტში შეფასებას დაექვემდებარა პროკურორის

მიერ შედგენილი საპროცესო დოკუმენტები. პროკურორთა საქმიანობის პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით, 2019 წელს მომზადებული იქნა მონიტორინგის ანგარიში და შემუშავებული იქნა რეკომენდაცია. რეკომენდაციაში ასახული იქნა საპროცესო დოკუმენტებში სამართლებრივი წერის კუთხით არსებული ხარვეზები და აქცენტი გაკეთდა სწორ მიდგომებსა და სტილზე.

- შეფასების სისტემით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, პროკურორთა სასამართლო უნარ-ჩვევების შეფასების მიზნით, 2019 წელს განხორციელდა ყველა საოლქო და რაიონული პროკურატურის პროკურორთა მიერ სახელმწიფო ბრალდების მხარდაჭერის ხარისხის შემოწმება სასამართლო მონიტორინგის განხორციელების გზით. სასამართლო მონიტორინგმა მოიცვა ბრალდებულის სასამართლოში პირველი წარდგენის, წინასასამართლო სხდომის, საპროცესო შეთანხმების და არსებითი განხილვის სხდომები. მომზადებული იქნა მონიტორინგის ანგარიში სადაც იდენტიფიცირებული იქნა მონიტორინგის პროცესში გამოვლენილი ხარვეზები. შედგენილი იქნა ერთიანი რეკომენდაცია, რომელშიც აისახა სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი როგორც საერთო, ისე კონკრეტული სტრუქტურული ერთეულისათვის დამახასიათებელი ხარვეზები.
- ევროკავშირის სისხლის სამართლის რეფორმის მხარდაჭერის პროექტის ფარგლებში 2019 წელს ევროკავშირის ექსპერტების მიერ შეფასდა საქართველოს პროკურატურის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა - რეგულაციები, პროცედურები და პრაქტიკა. აღნიშნული სამუშაოს ფარგლებში გაანალიზდა მოქმედი შეფასების სისტემაც და ექსპერტების მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები.
- ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ერთობლივ პროექტთან თანამშრომლობით, საქართველოს პროკურატურაში შემუშავდა სასწავლო მოდული თემაზე - ,,აღკვეთის ღონისძიების დასაბუთება ევროპული სტანდარტების მიხედვით“. აღნიშნული სასწავლო მოდულის შემუშავება მიზნად ისახავდა პროკურორთა კვალიფიკაციის ამაღლებასა და ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტების ყოველდღიურ სამუშაო პრაქტიკაში დანერგვას. აღნიშნულ თემაზე განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-5 მუხლის თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის თემაზე. სწავლება ერთობლივი ფორმატის იყო და მასში პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ მოსამართლეები.

- ევროკავშირთან თანამშრომლობით, პროკურორებისთვის სამართლებრივი მართლწერის საკითხებზე განხორციელდა ტრენინგი, რომელშიც ჩართული იყო 13 პროკურორი. სწავლების ფარგლებში პროკურორები გაეცნენ სამართლებრივი წერის, როგორც ზოგად სტანდარტებს, ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული ყველა საპროცესო დოკუმენტის წერის სტანდარტს.
- გამოძიების მეთოდოლოგიის თემაზე ჩატარდა 14 ტრენინგი. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 106 მსმენელი (პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი). მათ შორის 4 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, იტალიასა და ჰოლანდიაში. ჩატარებული ტრენინგებიდან 10 იყო ერთობლივი ფორმატის, რომელშიც პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსამართლეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, შემოსავლების სამსახურის, კრიზისული ცენტრების და სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლები.
- სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების გამოვლენის და სისხლისსამართლებრივი დევნის საკითხებზე განხორციელდა 13 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 165 მსმენელი (მენეჯერი, პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი).
- დისკრიმინაციის ყველა ფორმით აკრძალვის საკითხებზე განხორციელდა 7 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 84 მსმენელი (მენეჯერი, პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი).
- ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა 8 ერთობლივი სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 30 მონაწილე (პროკურორი). მათ შორის 3 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, უკრაინისა და უზბეკეთის რესპუბლიკებში. აღნიშნული აქტივობები ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის დანაშაულებზე საერთაშორისო თანამშრომლობის თემატიკას, ბავშვთა პორნოგრაფიას, ტრეფიკინგის საქმეების ფინანსური გამოძიების ძირითად ასპექტებს, უცხო ქვეყნების საქმიანობის სპეციფიკისა და უახლესი ტენდენციების გაცნობას შეეხებოდა. სწავლებაში პროკურორებთან ერთად მონაწილეობას იღებდნენ იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს, თავშესაფრებისა და კრიზისული ცენტრების წარმომადგენლები.

- კორუფციული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე ჩატარდა 8 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 61 მონაწილე (პროკურორი, პროკურატურის გამომძიებელი, სტაჟიორ-პროკურორი). მათ შორის - 3 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა უნგრეთისა და ჩეხეთის რესპუბლიკებში. ჩატარებული ტრენინგებიდან 7 იყო ერთობლივი ფორმატის, სადაც პროკურორებთან ერთად, მონაწილეობდნენ მოსამართლეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სახელმწიფო აუდიტის და საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლები.
- ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე განხორციელდა 8 სასწავლო აქტივობა, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 23 პროკურორი. მათ შორის 3 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა ბულგარეთის, სომხეთის და უნგრეთის რესპუბლიკებში. ჩატარებული ტრენინგებიდან 6 იყო ერთობლივი ფორმატის. ტრენინგებში, პროკურატურის წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსამართლეები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის, იუსტიციის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს, ცენტრალური კრიმინალური პოლიციის და ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები;
- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის "კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში" მხარდაჭერით შემუშავდა ტრენინგ-მოდული საქართველოში ფულის გათეთრების/ტერორიზმის დაფინანსების (ML/FT) საქმეების გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის თემაზე, რომლის მიხედვითაც 2020 წლიდან სწავლებას გაივლიან პროკურორები და სისტემის გამომძიებლები.
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საკითხებზე ჩატარდა 15 ტრენინგი. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 135 მსმენელი (პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი). მათ შორის 5 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა უნგრეთის, იტალიის ინდოეთის რესპუბლიკებში და ესპანეთის სამეფოში. ჩატარებული ტრენინგებიდან 4 იყო ერთობლივი ფორმატის, რომელშიც პროკურორებთან ერთად მონაწილეობდნენ მოსამართლეები, ფინანსთა სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები.
- დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების მოძიების, დაყადაღებისა და ჩამორთმევის საკითხებზე ჩატარდა 5 ტრენინგი. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 43 მსმენელი, მათ

შორის 2 სასწავლო ვიზიტი განხორციელდა უნგრეთის და იტალიის რესპუბლიკებში. ჩატარებული ტრენინგებიდან 3 იყო ერთობლივი ფორმატის, რომელშიც პროკურორებთან ერთად მონაწილეობდნენ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის წარმომადგენლები.

- კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის ზრდისა და ელექტრონული მტკიცებულებების მოპოვების მექანიზმების გაუმჯობესების თემაზე ჩატარდა 4 ტრენინგი. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 36 მსმენელი (პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი). მათ შორის იყო 2 სასწავლო ვიზიტი, რომელიც განხორციელდა უნგრეთის რესპუბლიკასა და ნიდერლანდების სამეფოში. განხორციელებული სასწავლო აქტივობებიდან აღსანიშნავია, რომ 2 თვიანი სწავლება გაიარა 17 პროკურორმა და გამომძიებელმა, რომლებიც შემდგომში პრიორიტეტულად იმუშავებენ კიბერდანაშაულის საქმეებზე. სწავლების ფარგლებში მსმენელები გაეცნენ კიბერ შეტევის ძირითად ტიპებს და კიბერ დანაშაულის ციფრული კვლევის ძიების საფუძვლებს.
- ნარკოტიკული დანაშაულის თემაზე ჩატარდა 11 ტრენინგი. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 89 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი. მათ შორის იყო 4 სასწავლო ვიზიტი უკრაინის და ინდოეთის რესპუბლიკასა და ესპანეთის სამეფოში.
- ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის თემაზე შემუშავდა და დაინერგა სასწავლო მოდული. კერძოდ, საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით მომზადდა და შემუშავდა პროკურატურის საქმიანობის სპეციფიკაზე მორგებული სასწავლო პროგრამა და მასალები, რომლის მიხედვითაც პროკურორებისთვის განხორციელდა პილოტური ტრენინგი. ასევე, ტრენერთა ტრენინგის ფარგლებში 3 ეტაპიანი სწავლება გაიარეს პროკურორებმა. გადამზადებული ტრენერები უცხოელ ექსპერტთან ერთად უძღვებოდნენ კასკადურ ტრენინგებს, რომლის ფარგლებშიც სწავლება გაიარეს პროკურორებმა და პროკურატურის გამომძიებლებმა. სასწავლო აქტივობები პროექტთან - ევროკავშირის მოქმედება ნარკოტიკებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ (EU ACT) - თანამშრომლობით განხორციელდა.
- იურიდიული პირების მიერ ჩადენილი დანაშაულის თემაზე ჩატარდა 2 სასწავლო აქტივობა. სწავლების ფარგლებში გადამზადდა 25 პროკურორი და პროკურატურის გამომძიებელი.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირებთან ეფექტიანი კომუნიკაციის თემაზე 1 სასწავლო აქტივობა განხორციელდა. ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 19 მონაწილე (საშუალო რგოლის მენეჯერი და პროკურორი). სწავლების მიზანი იყო შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებთან კომუნიკაციის უნარ-ჩვევების გაუმჯობესება და სწორი დამოკიდებულების ფორმირება.

- ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს პროკურატურის მაღალი და საშუალო რგოლის მენეჯერებისთვის ორგანიზაციის მართვის მეთოდების თემაზე სწავლების მეორე ეტაპი განხორციელდა. სასწავლო პროცესს საერთაშორისო ექსპერტები უძღვებოდნენ. პროექტი მიზნად ისახავდა მმართველი რგოლის შესაძლებლობების გაძლიერებას, ერთიანი სისტემის დანერგვას, რაც საბოლოოდ თანამშრომელთა შრომის ნაყოფიერებასა და უწყების ეფექტიან საქმიანობაზე აისახება.
- მედიასთან კომუნიკაციის ერთგვაროვანი პოლიტიკის ჩამოყალიბების მიზნით განხორციელდა 3 სასწავლო აქტივობა, რომელშიც ჩართული იყო 31 მონაწილე (მენეჯერი, პროკურორი, პიარის სამსახურის თანამშრომლები). სწავლების ფარგლებში მსმენელები გაეცნენ მედიასთან ურთიერთობის ეფექტურ ტექნიკებს, ასევე სტრატეგიული კომუნიკაციის და კრიზისული სიტუაციების მართვის საკითხებს.
- პროკურატურის პროფესიული საჯარო მოხელეთა (მრჩეველი, სპეციალისტი, მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, 2019 წელს განხორციელდა შემდეგი სასწავლო აქტივობები: სტრესისა და დროის მართვის, მოქალაქეებთან ეფექტური კომუნიკაციის, კომპიუტერული პროგრამების და ინგლისური ენის სწავლებები.

ევროკავშირის მხარდაჭერით, შემუშავდა და დაინერგა ტრენინგ საჭიროებათა ანალიზის ელექტრონული პროგრამა, რომელშიც ჩაერთო საქართველოს პროკურატურის ყველა თანამშრომელი. ელექტრონული პროგრამის საფუძველზე განხორციელებული ტრენინგ საჭიროებათა დეტალური ანალიზი, საშუალებას იძლევა უფრო მეტი სიზუსტით მოხდეს წლის განმავლობაში განსახორციელებელი სასწავლო პროგრამების ერთიანი გეგმის შედგენა, რომელიც პირდაპირ პასუხობს პროკურატურის თანამშრომელთა მოთხოვნებს და ორიენტირებულია მათ საჭიროებებზე.

საერთაშორისო თანამშრომლობა

EUROJUST

2019 წელი საქართველოს პროკურატურისთვის განსაკუთრებულად გამორჩეული იყო. 2019 წლის 29 მარტს ხელი მოეწერა საქართველოსა და EUROJUST-ს შორის თანამშრომლობის შეთანხმებას. შეთანხმების შესაბამისად, 2020 წლიდან საქართველოს გენერალურ პროკურატურას EUROJUST-ში საქართველოს წარმომადგენლად მეკავშირე პროკურორი ჰყავს.

შეთანხმების გაფორმებაზე გადაწყვეტილების მიღებას წინ უძღოდა EUROJUST-სა და ევროკავშირის ორგანოებთან ინტენსიური მოლაპარაკებები, რომელიც 2016 წლიდან დაიწყო. 2017 წელს EUROJUST-მა სიღრმისეულად შეისწავლა საქართველოს სამართალდაცვით და მართლმსაჯულების სფეროში პერსონალური მონაცემების დაცულობის თავსებადობა ევროკავშირის რეგულაციებთან. დადებითი დასკვნის მიღების შემდეგ გადაწყდა მხოლოდ საქართველოსთან შეთანხმების გაფორმების საკითხი. შეფასების პროცესში მონაწილე ერთ-ერთი მთავარი უწყება სწორედ საქართველოს პროკურატურა იყო.

საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, რომელთანაც EUROJUST-მა თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. EUROJUST-თან შეთანხმება საქართველოს და ევროკავშირის ქვეყნებს შესაძლებლობას მისცემს უფრო სწრაფად და ეფექტიანად ითანამშრომლონ საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულის გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში.

EUROJUST-ში მეკავშირე მაგისტრატით ან პროკურორით წარმოდგენილნი არიან ევროკავშირის წევრი ქვეყნები და პარტნიორი სახელმწიფოები აშშ, ნორვეგია, შვეიცარია, უკრაინა, მონტენეგრო და საქართველო.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელის (OECD ACN) რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობა:

2019 წლის მარტში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ანტიკორუფციული ქსელმა (OECD ACN) დაამტკიცა პროგრესის ანგარიში საქართველოს მიერ სტამბოლის სამოქმედო გეგმის მე-4 მონიტორინგის რაუნდის რეკომენდაციების შესრულების თაობაზე. ანგარიშის თანახმად, საქართველოს პროკურატურის კომპეტენციაში შემავალი OECD

ACN-ის 5 რეკომენდაციიდან პროგრესი მიღწეულია 4 რეკომენდაციის შესრულებასთან დაკავშირებით.

მითითებული პროგრესი განაპირობა პროკურატურის რეფორმის გაგრძელებამ, რომელიც მოიცავდა პროკურატურის კოლეგიური ორგანოების როლის გაზრდას, პროკურორების სამსახურში მიღებისა და დაწინაურების წესების დახვეწას, პროკურორების შეფასების კრიტერიუმების ორგანულ კანონში გაწერას, დისციპლინური პროცედურების ორგანული კანონით დარეგულირებას და პროკურორებისათვის საქმეების გადანაწილების კრიტერიუმების შემუშავებას. ამავდროულად, 2018 წლის ივნისში პროკურატურის მიერ იურიდიული პირების პასუხისმგებლობის საკითხზე სახელმძღვანელოს გამოცემა და თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლება წარმოადგენდა გასათვალისწინებელ ფაქტორებს, რომლებმაც ხელი შეუწყვეს OECD ACN-ის რეკომენდაციების შესრულების საერთო პროგრესს.

პროკურატურის ადამიანური რესურსები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს პროკურატურაში მუშაობდა 820 თანამშრომელი, მათ შორის - 324 ქალი. 820 თანამშრომლიდან 420 იყო პროკურორი (მათ შორის 135 ქალი), 84 გამომძიებელი (მათ შორის 8 ქალი), პროფესიული საჯარო მოხელეები - 132 (მათ შორის 113 ქალი), ხელშეკრულებით მიღებული პირები - 147 (მათ შორის 51 ქალი) და სტაჟიორ - პროკურორი -37 (მათ შორის ქალი 17).

420 პროკურორიდან 260 პროკურორი და 84 გამომძიებლიდან 40 გამომძიებელი სტაჟირების სისტემით არის დანიშნული თანამდებობაზე.

2019 წელს საქართველოს პროკურატურის ორგანოებში სტაჟირების გავლა დაასრულა 60 პირმა. რომელთაგან 31 დაინიშნა პროკურორისა და გამომძიებლის ვაკანტურ თანამდებობებზე.

2019 წელს ახალი კადრების მოძიების მიზნით, გამოცხადდა სტაჟიორ-პროკურორთა შესარჩევი ოთხ ეტაპიანი კონკურსი. კონკურსზე განაცხადი შემოიტანა 1214-მა პირმა, საიდანაც აპლიკაციების გადარჩევის შედეგად შეირჩა 1129 კანდიდატი. აპლიკაციების გადარჩევის შემდეგ ჩატარდა ორ ეტაპიანი ტესტირება. ტესტირების ორივე ეტაპის დასრულების შემდეგ გასაუბრების

ეტაპზე გადავიდა 79 კანდიდატი, საიდანაც სტაჟიორ-პროკურორად დაინიშნა 38 პირი, რომლებმაც დანიშვნამდე გაიარეს ორთვიანი მოსამზადებელი კურსი.

საქართველოს პროკურატურაში 2018 წლიდან დანერგილი მენტორობის პროგრამის შესაბამისად ახლად დანიშნული სტაჟიორ-პროკურორები განაწილდნენ მენტორებთან, რომელთა მხარდაჭერით, სტაჟიორები ეცნობიან ორგანიზაციულ კულტურას, იძენენ პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებელ ცოდნას და უნარებს.

მენტორობის პროგრამის გაუმჯობესების მიზნით, 2019 წელს განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- ✓ მოხდა მენტორების რაოდენობის ზრდა და მათი გადამზადება - 2019 წელს დამატებით გადამზადდა 20 მენტორი. შერჩეულმა მენტორებმა გაიარეს ტრენინგი, რომელიც მათთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემას და პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურებოდა. პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის დეპარტამენტის (DOJ) მხარდაჭერით განხორციელდა;
- ✓ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით, მენტორობის საკითხებზე სასწავლო ვიზიტი განხორციელდა უნგრეთის რესპუბლიკაში.
- ✓ განახლდა მენტორების სახელმძღვანელო, რომელიც დაიბეჭდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით და მონაწილეებს მიეწოდათ სწავლების პროცესში;
- ✓ სტაჟირების პროგრამის დაწყებამდე განხორციელდა მენეჯერების, მენტორების და სტაჟიორ-პროკურორების ერთობლივი შეხვედრა, რომელზეც მენტორის როლის, ფუნქციების და პროცესის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე გაკეთდა აქცენტი;
- ✓ სტაჟიორ-პროკურორებთან მენტორობის პროგრამის მიმდინარეობის შეფასების მიზნით, პროგრამის დაწყებიდან 3 თვეში მოხდა მენეჯერების, მენტორების და სტაჟიორ-პროკურორების გამოკითხვა ელექტრონული ფორმით, რომლის საფუძველზეც შეფასდა პროგრამის მიმდინარეობის ეფექტურობა და პროგრამის გაუმჯობესებისთვის განისაზღვრა შემდგომი ნაბიჯები.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახური

მას შემდეგ, რაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი გახდა პროცესის მონაწილე სუბიექტი და აღიჭურვა არაერთი მნიშვნელოვანი საპროცესო უფლება-მოვალეობებით, მნიშვნელოვნად გაიზარდა კოორდინატორების ჩართულობა ძალადობრივი დანაშაულის საქმეებში. კერძოდ, მოწმისა და დაზარალებულის ემოციური მხარდაჭერის მიზნით, კოორდინატორები ესწრებიან დაზარალებულის/მოწმის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო პროცესებს, აწვდიან ინფორმაციას სისხლის სამართლის საქმის მსვლელობის შესახებ, ეხმარებიან მათთვის არსებული სერვისებით სარგებლობაში (იქნება ეს თავშესაფრით უზრუნველყოფა, სამედიცინო და იურიდიული დახმარება თუ ხელშეწყობა დასაქმებასა და სხვა პიროვნული და პროფესიული უნარების გაძლიერებაში).

2019 წელს კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად დახმარება გაუწიეს სისხლის სამართლის კოდექსის შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მოწმეებსა და დაზარალებულებს:



2019 წლის მაისში, საკანონმდებლო ცვლილებიდან ერთი წლის თავზე საქართველოს პროკურატურისა და ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით გაიმართა კონფერენცია, რომელსაც იუსტიციის, შინაგან საქმეთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროების, ამერიკის საელჩოს, გაეროს ქალთა ორგანიზაციის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების, ასევე, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. კონფერენციაზე გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა მონაწილეებს გააცნეს ინფორმაცია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის საქმიანობის შესახებ და ისაუბრეს საკანონმდებლო ცვლილების შემდეგ არსებულ მიღწევებსა და გამოწვევებზე.

ასევე, 2019 წლის სექტემბერში შედგა პროკურორებისა და კოორდინატორების ერთობლივი სამუშაო შეხვედრა, რომელიც მიზნად ისახავდა კოორდინატორის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურით, რომელიც შედგება თბილისსა და რეგიონების მასშტაბით მომუშავე 18 კოორდინატორისაგან, ისარგებლა 8348-მა პირმა (დაზარალებულმა, მოწმემ, განმცხადებელმა).

მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორების მიერ 2019 წელს განხორციელდა 10295 აქტივობა. მოწმეებისა და დაზარალებულების საჭიროების გათვალისწინებით, კოორდინატორებმა ყველაზე ხშირად განახორციელეს

ხშირად განხორციელებული აქტივობები



დანაშაულის პრევენცია

საქართველოს პროკურატურა ახორციელებს პროექტს ,,საზოგადოებრივი პროკურატურა“, რომლის მიზანია დანაშაულის პრევენცია, საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების გაზრდა და პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლება.

პროექტ ,,საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში 2019 წელს ჩატარდა 64 საინფორმაციო შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 3200-მდე პირმა, კერძოდ:



პროექტ „საზოგადოებრივი პროკურატურის“ ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების გარდა, დანაშაულის პრევენციის და საზოგადოების სამართალშეგნების დონის ამაღლების მიზნით, საქართველოს პროკურატურა აქტიურად ჩაერთო ამერიკის შეერთებული შტატების, ევროპის საბჭოს და საქართველოს მთავრობის ინიციატივით წარმოებულ საინფორმაციო კამპანიებში, კერძოდ:

საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოსა და პროექტ DOJ მხარდაჭერით, 2019 წლის მარტში ქალთა უფლებების კვირეულის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა საქართველოს რვა ქალაქში (ბათუმი, ზუგდიდი, ქუთაისი, გორი, თელავი, რუსთავი, ახალციხე და თბილისი) არსებულ ამერიკული კუთხის ოფისებში, ოჯახში ძალადობის საკითხებზე გამართეს საინფორმაციო შეხვედრები.

საქართველოს მთავრობის გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში, საქართველოს პროკურატურის ორგანიზებით 2019 წლის ნოემბერ-დეკემბერში 24 საინფორმაციო შეხვედრა ჩატარდა. შეხვედრის თემას სექსუალური შევიწროება, ოჯახში ძალადობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები წარმოადგენდა. შეხვედრებს ესწრებოდნენ: სკოლის მოსწავლეები, პედაგოგები, სტუდენტები, საჯარო მოხელეები და ადგილობრივი მოსახლეობა (მათ შორის ეთნიკურად აზერბაიჯანელი და სომეხი მოსახლეობა).

ევროპის საბჭოს ცნობიერების ამაღლების კამპანიის „მე ვირჩევ თანასწორობას“ ფარგლებში საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებმა 2019 წლის ნოემბერში 7 საინფორმაციო შეხვედრა გამართეს, მათ შორის თბილისში, გარდაბანში, მარნეულში, ბოლნისში, ახალციხეში, ნინოწმინდასა და ხელვაჩაურში. შეხვედრებს ესწრებოდა ეთნიკურად ქართველი, აზერბაიჯანელი, სომეხი მოსახლეობა, რელიგიური უმცირესობის წარმომადგენლები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და იძულებით გადაადგილები პირები. კამპანიის მიზანი იყო დისკრიმინაციის, სიძულვილის ენისა და სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების მიერ გამოწვეული რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება, ინფორმაციის გავრცელება მრავალფეროვნების და ტოლერანტობის მნიშვნელობის შესახებ, უმცირესობებისა და მოწყვლადი ჯგუფების ინფორმირება სამართლებრივი მექანიზმების თაობაზე.

საჯარო ინფორმაციის გაცემა

2019 წელს საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს გენერალურ პროკურატურაში სულ შემოვიდა 323 განცხადება, რომელთაგან სრულად დაკმაყოფილდა 165, არ დაკმაყოფილდა 85, ნაწილობრივ დაკმაყოფილდა 51, უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს გადაეგზავნა 1, განუხილველად იქნა დატოვებული 7, ხოლო 14 მათგანზე მიმდინარეობს ინფორმაციის მოძიება/დამუშავება.

რეაგირება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნებზე
(2019 წელი)



საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი დაინტერესებული მხარის მიერ ადმინისტრაციული წესით გასაჩივრდა 4 შემთხვევაში, მათგან 2 დაკმაყოფილდა, ერთ შემთხვევაში საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა , ერთ შემთხვევაში კი საჩივრის ავტორს უარი ეთქვა განხილვაზე, საჩივრის წარდგენის ერთთვიანი ვადის დარღვევის გამო. სასამართლოში გასაჩივრდა 2 შემთხვევა, ერთი სარჩელი განუხილველად იქნა დატოვებული და ერთზე ამ ეტაპზე მიმდინარეობს საქმის განხილვა.

საქართველოს პროკურატურამ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი თქვა იმ შემთხვევებში, როცა დაინტერესებული პირის მოთხოვნა დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის საქმის მასალების ან/და პირის პერსონალური მონაცემების გასაჯაროებასთან. რიგ შემთხვევებში კი მოთხოვნილი იყო ისეთი სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც საქართველოს პროკურატურის მიერ არ იწარმოება. განუხილველად იქნა დატოვებული საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით წარმოდგენილი ის განცხადებები, რომლებიც არ პასუხობდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ მოთხოვნებს.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელ პირზე დისციპლინური სახდელის დადების შემთხვევა საქართველოს პროკურატურაში 2019 წელს არ გამოვლენილა.